

შპს ევროფარმი

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022
წლის 31 დეკემბერს

შპს ევროფარმი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	3	12,148,184	25,817,997
საგადასახადო აქტივები		23,390	38,518
ფული და ფულის ექვივალენტები		1,437,937	398,655
სულ მიმდინარე აქტივები		13,609,511	26,255,170
სულ აქტივები		13,609,511	26,255,170
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		9,282,558	9,282,558
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		4,326,953	12,825,824
სულ კაპიტალი		13,609,511	22,108,382
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-	2,092
ნასესხები სახსრები		-	4,144,696
სულ ვალდებულებები		-	4,146,788
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,609,511	26,255,170

შპს ევროფარმი
მოგება - ზარალის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	3,269,358	17,044,005
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(1,609,293)	(17,117,424)
მთლიანი მოგება/(ზარალი)		1,660,065	(73,419)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(95,366)	(104,163)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1,564,699	(177,582)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯები	6	(2,929,268)	(1,040,496)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(1,364,569)	(1,218,078)
მოგების გადასახადი		-	-
წლიური ზარალი		(1,364,569)	(1,218,078)

შპს ევროფარმი
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ
1 იანვარი, 2021 წელი	76,064	16,452,602	16,528,666
წლის სრული ზარალი	-	(1,218,078)	(1,218,078)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15,061,619	-	15,061,619
საწესდებო კაპიტალის განაწილება	(5,855,125)	-	(5,855,125)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(2,408,700)	(2,408,700)
31 დეკემბერი, 2021 წელი	9,282,558	12,825,824	22,108,382
წლის სრული ზარალი	-	(1,364,569)	(1,364,569)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(7,134,302)	(7,134,302)
31 დეკემბერი, 2022 წელი	9,282,558	4,326,953	13,609,511

შპს ევროფარმი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		16,435,129	4,008,267
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(3,254,050)	(17,217,662)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(75,554)	(71,100)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		13,105,525	(13,280,495)
გადახდილი პროცენტი		(95,092)	(160,234)
გადახდილი გადასახადები		(4,868)	(22,233)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული)		13,005,565	(13,462,962)
ფულადი სახსრები, წმინდა			
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		962	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან, წმინდა		962	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		-	7,730,793
აღებული სესხების დაფარვა		(4,149,577)	(3,162,300)
დივიდენდის გაცემა		(7,134,302)	(2,408,700)
კაპიტალის შემოტანა		-	15,061,619
კაპიტალის განაწილება აქციონერებზე		-	(5,855,125)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან, წმინდა		(11,283,879)	11,366,287
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		(683,366)	105,337
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		398,655	2,389,993
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,437,937	398,655

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ევროფარმი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ინსულინით ვაჭრობა (ყიდვა-გაყიდვა).

კომპანიის იურიდიული მისამართი : თბილისი, გლდანის რაიონი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N264 (თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა. თითოეული კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგება.

უცხოური ვალუტა. კომპანიის ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ლარი/ 1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/ 1 ევრო	2.8844	3.5040

ამჟამად ქართული ლარი საქართველოს გარეთ, ქვეყნების უმრავლესობაში თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავსნაღდ ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. სავაჭრო მოთხოვნები

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	12,146,766	25,808,807
გადახდილი ავანსები	1,418	7,190
სხვა მოთხოვნები	-	2,000
სულ სავაჭრო მოთხოვნები	12,148,184	25,817,997

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	2022	2021
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	3,269,358	17,044,005
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	3,269,358	17,044,005

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ქართულ ერთეულ ლარში	2022	2021
მასალები და სახარჯი მასალები	(1,586,664)	(17,066,609)
ინდუსტრიული ზონის ლიცენზიის ხარჯი	(9,918)	(10,919)
უსაფრთხოების ხარჯები	(5,680)	(9,400)
ინდუსტრიული ზონის იჯარის ხარჯი	(3,400)	(3,744)
დაზღვევის ხარჯი	(2,611)	(23,273)
სხვა ხარჯები	(1,020)	(3,479)
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	(1,609,293)	(17,117,424)

6. ფინანსური ხარჯები


ქართულ ერთეულ ლარში	2022	2021
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	(2,835,343)	(832,975)
საპროცენტო ხარჯები	(76,088)	(201,606)
ბანკის მომსახურებისა და საკომისიო ხარჯები	(17,837)	(5,915)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,929,268)	(1,040,496)

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

2 ოქტომბერი, 2023

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

